სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა
კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების გენერალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე დასკვნა

დამგეგმავი ორგანო - აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ანგარიშის წარმდგენი - შპს,,ნიუ სითი დეველოფმენთ"

ბეშუმი წიწვოვანი ტყით მდიდარი მთის კლიმატური კურორტია. იგი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხულოს მუნიციპალიტეტში. კურორტი ბეშუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია დეკანაშვილების თემის ერთეულში შედის, ის საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარს 2-3 კილომეტრითაა დაშორებული. კურორტი არსიანის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზეა გაშლილი.
გეგმარებითი ერთეული შედგება სამი ნაწილისაგან; ეს ნაწილებია: კურორტი ბეშუმი მიმდებარე ტერიტორიებითურთ; შქერნალის უბანი და გოდერძის უღელტეხილის არეალი, რომელთა განვითარების დროს უნდა გაითვალისწინონ ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან, ეს ფაქტორებია:

- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- სოციალური დაცულობა (უსაფრთხო საფეხმავალო გადასასვლელი, დაბალი მოძრაობის სიჩქარე საცხოვრებელი და საკურორტო ადგილების მიმდებარედ, ხმაურის შემცირება, ქუჩების განათება);
- ატომოსფერული ჰაერის დაბინძურება და ზოგადი სურათი (ჰაერის დაბინძურების წყაროებში, ე.ი. საგზაო ტრანსპორტი, მწვავე ტერიტორიების განვითარება, ხმაურის შემცირების ღონისძიებების განხორციელება);
- დასასვენებლი, ტურისტული და საცხოვრებლის ხარისხი (გარემო, სამშენებელო მასალები, საცხოვრებლის განლაგება, შენობის ორიენტაცია მზის პირდაპირი სხივების შესაბამისად და ა.შ);
- სამუშაო ადგილების, განათლების და საყოფაცხოვრებო მომსახურების (აფთიაქები, მაღაზიები, ბანკები და ა.შ.) ხელმისაწვდომობა;
- სასმელი წყლით მომარაგება, ჩამდინარე წყლების შეგროვება და სათანადო მართვა. სასმელი წყლის მოხმარების ნორმად მიჩნეულია და დაანგარიშებულია

სხვადასხვა რაოდენობა (1 სულ მოსახლეზე მოსული (საშულოწლიური) ხარჯი, ლ/დღ.ღ.) 90ლიტრი დღეღამეში, ან ზოგიერთ შემთხვევაში 150 ლ/დღ.ღ. რაც ქმნის ბუნდოვანებას, რადგანაც საპროექტო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ტერიტორიული რესურსების სრულად გამოყენების შემთხვევაში, მოსახლეობის რაოდენობა პერსპექტიული განვითარების გათვალისწინებით შადგენს:

- საკურორტო-სარეკრეაციო ზონისთვის, 10000 კაცს;
- სასოფლო-სამოსახლო ზონისთვის, 15000 კაცს;
- რაც ჯამურად შეადგენს, 25000 კაცს.

საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, კერძოდ: როგორი მასშტაბი ექნება წყალმომარაგებასა და წყალარინებას დაგეგმილი მშენებლობების ამოქმედების შემთხვევაში და საკმარისი იქნება თუ არა საჭირო ბუნებრივი რესურსები და სარეზერვო ტერიტორიები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ასევე, წინასწარ უნდა იქნეს გათვალისწინებული, წყალმომარაგებისათვის საჭირო წყლის ხარისხი, რამდენად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მხოლოდ ზემოაღნიშნულის შეფასების შემდეგ დაიგეგმოს წყალმომარაგების სისტემების პროექტების შემუშავება და განხორციელება.

- ნიადაგის ხარისხი (დაბინძურების გაწმენდა, მწვანე ტერიტორიების შენარჩუნება). საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების აღწერა და გავლენის მნიშვნელობის შეფასება, რისკ-ფაქტორების ზემოქმედებით დაზარალებული ტერიტორიების და უბნების იდენტიფიცირება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება;
- მონიტორინგი, შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა. მნიშვნელოვანია სამომავლოდ გათვალისწინებულ იქნეს ადგილზე მომსახურე პერსონალის, დამსვენებელთა და ტურისტების სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხი, განსაკუთრებით საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, რომელიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სათხილამურო სპორტთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კურორტ ბეშუმის მართვისათვის უნდა ჩამოყალიბდეს უფლებამოსილი ორგანო - კურორტ ბეშუმის საკურორტო-ტურისტული მართვის საბჭო, ვინაიდან უნდა გამოკვეთოს ვინაა პასუხისმგებელი ადგილზე საუკუნეების განმავლობაში მეცხოველეობით დაკავებული მემთეულთა უფლებების დაცვაზე, საკურორტო - ბალნეოლოგიურ მომსახურებაზე, ხარისხზე, აკრედიტაციაზე, მის შესაბამისობაზე ტექნიკურ რეგლამენტებთან, ნორმატიულ

დოკუმენტებთან საერთაშორისო სტანდარტებთან, სტატისტიკის ინფორმაციის წარმოებასა და სხვა, უნდა შემუშავდეს კურორტის განვითარების გეგმა და გაიწეროს ეტაპობრივად განსახორციელებელი პრიორიტეტები. ასევე, მომავალში გასათვალისწინებელი იქნება შესაბამისობა ევროსაბჭოს 2013 წლის ტურიზმის ევროპული ინდიკატორების სისტემასთან (ETIS), რომელიც ემსახურება მდგრადი ტურიზმის განვითარებას და თანამედროვე მიდგომები და პროგრესი გაიზომება შესაბამისი ინდიკატორებით.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბნის და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმების, კურორტ ბეშუმის სანიტარიული დაცვის ზონის დოკუმენტაციის შემუშავების და სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მოწყობის განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტით - გეგმით (ადეკვატური განხორციელების შემთხვევაში) სატრანსპორტო ემისიების გარკვეულწილად ცვლილება მოხდება. საკურორტო ტერიტორიაზე მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით მომსახურება უნდა განხორციელდეს, ვინაიდან მისული ვიზიტორი საკუთარ ავტომობილს დატოვებს პარკინგისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, და შიდა გადაადგილებები უნდა მოხდეს მხოლოდ ელექტრომობილებით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ამასთან, სკოპინგის წარმოდგენილი დოკუმენტი არ ითვალისწინებს რაიმე ინდუსტრიული თუ სხვა ტიპის საწარმოს ფუნქციონირებას საკურორტო ტერიტორიაზე და შესაბამისად სათბურის აირების ემისიების გაზრდის საშიშროებაც არ იარსებებს (გარდა ცხენოსნობისა). გეგმით გათვალისწინებულია გოდერძი-ბეშუმის კლასტერში საცხენოსნო ტურიზმის განვითარება, როგორც სპეციფიკური მარშრუტების მოწყობის, ისე ჰიპოთერაპიის თვალსაზრისით. სავსებით შესაძლებელია ამ პრაქტიკის „მონეტიზაცია"- ცხენოსნობის საწყისების სწავლებისა და ტურისტებზე გაქირავების გზით. საამისოდ გათვალისწინებულია ცხენების თავლის მოწყობისა და საცხენოსნო რინგის ტერიტორია, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებს ტერიტორიის დაბინძურებას და სათბურის აირების კონცენტრაციის გაზრდას ატმოსფერულ ჰაერში, ამდენად ეს მომენტი ხაზგასასმელია პროექტში. ასევე, დოკუმენტი უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ თუ სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები რამდენად დააზიანებს ადგილობრივ ლანდშაფტს, და გააუარესებს ატმოსფერული

ჰაერის ხარისხს და რა ზომები იქნება გამოყენებული ამის თავიდან ასაცილებლად. ასევე უნდა იყოს ინფორმაცია უსაფრთხოების ზომების დაცვის შესახებ.

დოკუმენტში ვრცლად უნდა იყოს ასახული ღონისძიებები, ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

დოკუმენტში მეტად სრულად უნდა აისახოს ინფორმაცია განახლებადი ენერგიის წარმოების ხაზის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ასევე , მეტი ინფორმაციაა საჭირო მწვანე მასივების გაფართოვების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ, ვინაიდან დაგეგმილმა სამუშაოებმა შესაძლოა გარკვეულწილად მიაყენოს ზიანი საკურორტო ადგილების მწვანე საფარს. აგრეთვე გასათვალისწინებელია კურორტის შემოგარენში მიმდინარე ინფრასტრუქტურის (მაგისტრალური მილის გაყვანა, სასტუმროების და გზების მშენებლობა და სხვ.) სამუშაოების დროს ტერიტორიის თუ ატმოსფერის დაბინძურების საკითხი, მართალია დროებითი ხასიათისაა, მაგრამ გარემოზე და ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მატარებელია.

ვინაიდან, პროექტით გათვალისწინებულია საწვავისთვის გასამართი (ბენზინი, დიზელი, გაზი) სადგურის მოწყობა, დოკუმენტში უნდა იყოს სრულყოფილი ინფორმაცია ეკოლოგიური, სანიტარიული, და უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის შესახებ.

შესაბამისი სამკურნალო ბალნეოლოგიური ინფრასტრუქტურა არ არსებობს, ასევე ადგილზე მემთეულთა საკარმიდამო განაშიანების არეალი არის აჭარის მეცხოველეობის საზაფხულო იალაღების ალპური ზონა და მათი უფლებები და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მეცხოველეობის წარმართვის წესი უნდა იყოს დაცული/შენარჩუნებული და გამოყენებული სამომავლოდ გასტრონომიული ტურიზმის განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისას განხორციელდეს ჰაერის ხარისხის შეფასება და აისახოს მონიტორინგის მონაცემები ჰაერის კონკრეტულ დამაბინძურებლებზე (მყარი ნაწილაკები (PM10 და PM2.5), გოგირდის დიოქსიდი (SO2), აზოტის დიოქსიდი (NO2), ოზონი (O3) და ნახშირბადის მონოქსიდი (CO)) ბეშუმის ეკონომიკური აქტივობებისა და დამსვენებელთა ნაკადის ზრდამ შესაძლებელია გამოიწვიოს ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლების მატება, რაც საჭიროებს მონიტორინგის განხორციელებას.

- გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების მანჩვენებლების კვლევას, რაც ერთ-ერთ უმთავრეს რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის.
- ასევე რეკომენდირებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული პრინციპების ამოქმედება, რაც გულისხმობს თამბაქოსაგან თავისუფალი ადგილების შექმნას და სასურველია, ეს აისახოს პროექტშიც,

კლიმატის ცვლილება და მისი მოსალოდნელი გავლენა

ექსტრემალური ტემპერატურის ცვლილება უფრო და უფრო ზრდადი ხდება წლიდან წლამდე, რაც იწვევს ცხელი დღეების ზრდას. ამიტომ, ადაპტაციის თვალსაზრისით როგორც ცოცხალ ორგანიზმებს, ისე ადამიანებს, გარემოს, ბუნებრივ რესურსებს და ეკონომიკას უქმნის უზარმაზარ პრობლემებს. ნალექიანობისა და ტემპერატურის, როგორც ძირითადი კლიმატური პარამეტრების ცვლილებები თავის მხრივ იწვევენ სხვა ცვლილებებს ბუნებრივ რესურსებში, ეკოსისტემებში, რაც კომპლექსურად ქმნის შეცვლილი კლიმატური სისტემის სურათს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე ინსტიტუციური და პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობების გაძლიერება. ეს გულისხმობს, შერბილების პოლიტიკის ექსპერტებისა და ზოგადად კლიმატის ცვლილების შერბილების სექტორში მომუშავე ადამიანების პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობას. კურორტ ბეშუმის წარმოდგენილი მასალები ცხადყოფს, რომ არსებობს გადაუდებელი საჭიროება გათვალისწინებულ იქნას კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციები და მოხდეს შესაბამისი შერბილების ინტერვენციების განხორციელება. ვინაიდან, კლიმატის ცვლილების გამოვლინებები დრამატულია, რომლებიც გამოირჩევიან თავისი სიმკვეთრით და სისწრაფით, მოითხოვენ უსწრაფეს რეაგირებას და მოაქვთ უზარმაზარი ზარალი. ესაა ბუნებრივი კატასტროფების გახშირება, გვალვები, სითბური ტალღები, ექსტრემალური ტემპერატურები, ძლიერი წვიმები, წყალდიდობა-წყალმოვარდნები, და აშ. რაც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ამ კუთხით მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. უკვე არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით მოხდეს მავნე ზეგავლენების პრევენციისათვის და მაქსიმალური შემცირებისათვის აუცილებელი სწორი და დროული შერბილების და ადაპტაციის ღონისძიებების გატარება ადგილზე, რომლებიც უნდა დაიგეგმოს როგორც

ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე და ინტეგრირებულ იქნეს კურორტის განვითარების სტრატეგიაში.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვა

კურორტის განაშენიანების კომპლექსური გეგმის პროცესში, ძალზედ მნიშვნელოვანია ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვა. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვის მიზნით უნდა დადგენილ იქნეს და დაცულ იქნეს სანიტარიული დაცვის ზონების მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს კურორტებსა და საკურორტო ადგილებში საწარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს. კურორტის არასწორი განვითარების საფრთხის თავიდან აცილების, კურორტის ფუნქციონალურად დაგეგმვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია გენერალური გეგმის ცენტრალური უბნის განაშენიანების დროს მაქსიმალურად გათვალისწინებულ იქნეს ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის: სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები და თითოეული ზონის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები და შეზღუდვები.

აღსანიშნავია, რომ კურორტ ბეშუმის მიდამოებში მიგნებულია ორი, ერთმანეთისგან შემადგენლობით განსხვავებული ტიპის მინერალური წყაროები, მინერალური წყლების კონდიცია არ არის სრულად მითითებული, უნდა დაერთოს სრულყოფილი ინფორმაცია თუ როგორ ხდება მათი გამოყენება;

- დაკონკრეტებული უნდა იყოს დაავადებები სისტემების მიხედვით, რომლის დროსაც ნაჩვენებია მინერალური წყლების გამოყენება;
- ასევე მინერალური სამკურნალო ტალახის გამოყენების ჩვენებები და სათანადო დასკვნები.

ამ ეტაპისთვის უკვე ცნობილი უნდა იყოს ინფორმაცია საქმიანობების შესახებ, რომელიც სამომავლოდ იქნება განხორციელებული და ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რამდენად შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I და II დანართებით გათვალისწინებულ ჩამონათვალს.

- ასევე, რამდენად დაცულია დაბინძურებისაგან ამ ეტაპისათვის სამკურნალო მინერალური წყალი. ეს საკითხი დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული სგშ-ს ანგარიშში.

- აღსანიშნავია, რომ მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პულმონოლოგიური კურორტების ქსელის განვითარებას და მათ ინფრასტრუქტურულ გაძლიერებას. ამ მრივ, კურორტ ბეშუმის პროფილი დიდ პერსპექტივას სახავს, თუმცაღა, სადღეისოდ, სათანადო სამკურნალო-საპროფილაქტიკო ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო, ბეშუმი კანონმდებლობით განსაზღვრულ „კურორტის" სტატუსს ვერ აკმაყოფილებს.

კურორტს არ გააჩნია კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია, ამდენად, მისი განვითარება ამ ეტაპზე ხდება არაგეგმურად და უსისტემოდ, რაც ზღუდავს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, აფერხებს დამსვენებელთა და ტურისტული ნაკადის ზრდას. უკონტროლო მშენებლობა იწვევს საზოგადოების უკმაყოფილებასა და საჭიროებს გადაუდებელ რეაგირებას და შესაბამისი ეფექტური გასატარებელი პირველი რიგის ღონისძიებები წარმოდგენილ უნდა იქნეს სგშ-ს დოკუმენტში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების ალტერნატივების ადექვატური შეფასება, რათა კურორტის გამოყენება მოხდეს მთელი წლის განმავლობაში ტურისტებისა და დამსვენებლების მიერ.

- ტურიზმის ეკოლოგიური ტევადობის (tourism carrying capacity) შეფასება/დადგენა;
- მეცნიერულად შესწავლილი და დამუშავებული ლეგენდების სხვადასხვა ტურისტულ ჯგუფებისათვის მიწოდება;
- გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის არქეოლოგიური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და მათი, როგორც რეგიონისათვის ღირებული ობიექტების პილიგრიმებისა და ტურისტებისათვის პროდუქტად მომზადება;
- აჭარის სოფლების ეკონომიკური გაძლიერება, დასაქმება, სათავგადასავლო, გასტრონომიური, სამედიცინო, კულტურულ არქეოლოგიური ტურიზმის აღორძინება, სათავგადასავლო ტურიზმისათვის პანორამული გადასახედების და სხვა ტურისტულად მიმზიდველი ინფრასტრუქტურის შექმნა.
- სგშ-ს ანგარიშში განხილულ უნდა იყოს გოდერძისა და ბეშუმის ტერიტორიებზე არსებული ველური ბუნების შენარჩუნება, მკაცრი დაცვა, აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს სუბალპური სარტყლის სუფთა ჰაერის მდგრადობას, სუფთა წყაროს წყლებს, მაღალი ხარისხის ნიადაგს და ბიომრავალფეროვნებას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შეთავაზებას და სხვა.

ხმაური

წარმოდგენილ პროექტში აქცენტი კეთდება სამშენებლო და ავტოტრასპორტით გამოწვეულ ხმაურზე და არ არის ჩატარებული შესაბამისი გაზომვები. მოგეხსენებათ, რომ ხმაური არის საერთო-ბიოლოგიური გამაღიზიანებელი. ამდენად, იგი მოქმედებს ადამიანის მთელ ორგანიზმზე და, სპეციფიკური დაზიანების გარდა, შეიძლება გამოიწვიოს ზოგადი ხასიათის ცვლილებებიც. განაშენიანება ოპტიმალურად უნდა იყოს დაგეგმილი, რათა არ გამოიწვიოს ხმაურის არასასურველი ზეგავლენა. ხმაურის დონის შესწავლის შემდეგ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ხმაურის არასასურველი გავლენის შემცირებისათვის უნდა დაიგეგმოს ან გამოყენებულ იქნას:

- ხმაურის წყაროს საიჟინრო-ტექნიკური და ორგანიზაციულ ადმინისტრაციული ღონისძიებები.

- ხმაურისაგან დაცვის ობიექტზე-შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და გეგმარებითი მეთოდები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარდეს კურორტ ბეშუმის ხმაურის გაზომვა, შეფასება და დაიგეგმოს შემცირების ღონისძიებები - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ნარჩენების მართვა

კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით), გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების სკოპინგის ანგარიშისა და გენერალური გეგმის მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიებზე, ნარჩენების წარმოქმნასა და მის მართვასთან დაკავშირებით, ცენტრს გააჩნია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- **მშენებლობის პერიოდში სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა (სამშენებლო, სახიფათო, ინერტული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩათვლით, ასევე თხევადი ნარჩენები)** - წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშსა და გენერალურ გეგმაში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ინერტული და სამშენებლო ნარჩენების გენერირება, რომლის მართვაც განხორციელდება **„საქართველოს ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული**

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილების შესაბამისად" თუმცა, სასურველია, უფრო კონკრეტული ინფორმაციის და გათვლების მოწოდება, თუ რა მოცულობის მიწის სამუშაოები ჩატარდება მშენებლობის ეტაპზე, რა ოდენობის სამშენებლო მასალა იქნება გამოყენებეული და შესაბამისად, რა რაოდენობის და ტიპის ნარჩენების წარმოქმნასთან უნდა გვქონდეს საქმე. სად და როგორ უნდა დასაწყობდეს დროებითი განთავსებისათვის და როგორ მოხდება მათი გატანა და გადაყრა ანუ ნარჩენების მართვის სრული ციკლი.

- დოკუმენტში არ არის ასახული ინფორმაცია თხევადი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი მართვის მექანიზმების შესახებ მშენებლობის ეტაპზე, თუმცა შესაძლოა, მათი წარმოშობა ან სამშენებლო მასალის გადაქცევა თხევად ნარჩენად (შლამის სახით), უხვი ნალექების შემთხვევაში. რეკომენდებულია, ამ ინფრომაციის მოწოდება შემდეგ ეტაპზე.
- **კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით), გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების დასრულების შემდეგ და ოპერირების პეროდში, აღნიშნული კლასტერი საზაფხულოდან სეზონურ (ზაფხული-ზამთარი) კურორტად გადაქცევის შემთხვევაში ტურისტული ნაკადების ზრდის ფონზე, სხვადასხვა ტიპის ნარჩენების (მათ შორის, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენები) წარმოქმნა და მათი მართვა.** სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფრომაცია პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ. დოკუმენტში მოცემულია თხევადი ნარჩენების მართვის გადაწყვეტის გზები საკანალიზაციო სისტემის და სეპტიკური გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის შესახებ, თუმცა სასურველია დეტალური ინფორმაცია საკანალიზაციო სისტემების (მ.შ. გამწმენდი ნაგებობების) მოწყობის შესახებ, სხვადასხვა სიმძლავრის დატვირთვის გათვალისწინებით. ასევე, სასურველია, შემუშავდეს საკანალიზაციო სისტემების მოდელირების სქემის დატვირთვა/ხარჯის გათვლებით.
- დოკუმენტებში წარმოდგენილია მყარი ნარჩენების წარმოშობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია. გასათვალისწინებელია, რომ განაშენიანების ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება, როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე საქმიანობებთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ნარჩენები (მ.შ. სახიფათო ნარჩენები). ამ მიზნით, აუცილებელია ნარჩენების გეგმის შემუშავების დროს ერთიან კონტექსტში განხილულ იქნას მოსალოდნელი ნარჩენების რაოდენობის და ტიპების ზუსტი განსაზღვრა, მათთან მოპყრობისა და მართვის სწორი გადაწყვეტილებების შემუშავება. მაგ. გასათვალისწინებელია სამედიცინო

ნარჩენების წარმოქმნის ალბათობა (სამედიცინო-საკონსულტაციო, ბალნეოლოგიური ან ვეტერინარული პუნქტები და აფთიაქები), სპეცტექნიკის და საწვავგასამართ სადგურებზე წარმოქმნილი სპეციფიკური ნარჩენების მართვის თავისებურებები და სხვ. საყურადღებოა, ტურისტული ადგილებისთვის (სამთო-სათხილამურო ტრასები, თოვლის მოედნები, კემპინგი და სხვ.) მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ნარჩენების შეგროვება-სეპარირების გადაწყვეტილებები და სათანადო მართვა.

- მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული სანიტარიისა და ნარჩენების მართვის წესები ისეთ კომერციულ-გასართობ ადგილებში, როგორიცაა კაფე-რესტორნები, აგრარული ბაზარი, მაღაზია, ცხენის თავლა და სხვა.

ელექტრო-მაგნიტური გამოსხივება

ვინაიდან აღნიშნული კლასტერი განვითარების ხელშეწყობისათვისაა, მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო საშუალებების მშენებლობა. გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაღალი ძაბვის და ელექტრო-მაგნიტური გამოსხივების მქონე ფიჭური კავშირგაბმულობის სადგურების დაშორება განაშენიანების ტერიტორიებიდან და მათი ზემოქმედების შეფასება პროექტირების შემდეგ ეტაპზე. აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება ტელე-საკომუნიკაციო საშუალებების მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

დასკვნა

წარმოდგენილი მასალების მიხედვით კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების გენერალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში შესაძლებელია შეთანხმდეს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი **თამარ გაბუნია**